



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის  
ბრძანება

ქ. თბილისი



MES 2 21 0000839996



31/08/2021

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე  
ჩარიცხვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში სტუ) დოქტორანტურის დებულებისა და სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის N01-05-04/119 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წელს სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების სწავლების პირველ წელზე;
2. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსს თ. წერეთელს;
3. სტუ-ის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს ელექტრონულ პლატფორმაზე - register.gtu.ge ან შესაბამის ფაკულტეტზე 2021 წლის 20 სექტემბრიდან 23 სექტემბრის ჩათვლით (რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია იხ. დანართში 1);
4. ელექტრონულ პლატფორმაზე აპლიკანტის მიერ ატვირთული საბუთების პირველადი შემოწმება დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის პასუხისმგებელ პირებს (პასუხისმგებელი პირები ფაკულტეტების მიხედვით იხ. დანართი 2);
5. ფაკულტეტებიდან ვიზირებულ განცხადებები არსებული წესის თანახმად გადაეგზავნოს სტუ-ის საქმის წარმოების დეპარტამენტს;

6. სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისად (დანართი 3) გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს 2021 წლის 25 სექტემბრის 10<sup>00</sup> საათიდან, სტუ-ის საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრში. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 25 სექტემბრის 10<sup>00</sup> საათიდან 27 სექტემბრის 14<sup>00</sup> საათამდე. საბოლოო შედეგები აპელაციის გათვალისწინებით გამოცხადდეს 27 სექტემბერს;
7. სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის (დანართი 3) შესაბამისად გასაუბრება უცხო ენაში ჩატარდეს 2021 წლის 25 სექტემბრის 10<sup>00</sup> საათიდან სტუ-ის ადმინისტრაციულ კორპუსში, კოსტავას ქ.N77, (ცენტრალურ ბიბლიოთეკაში). შედეგები გამოქვეყნდეს 27 სექტემბერს;
8. გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიებთან ჩატარდეს 2021 წლის 28 სექტემბერს 10<sup>00</sup> საათიდან. გასაუბრების შედეგები გამოცხადდეს 29 სექტემბერს 10<sup>00</sup> საათზე. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2021 წლის 29 სექტემბრიდან 30 სექტემბრის 14<sup>00</sup> საათამდე. საბოლოო შედეგები აპელაციის გათვალისწინებით გამოცხადდეს 1 ოქტომბერს;
9. სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხ დოქტორანთა სია გამოქვეყნდეს 1 ოქტომბერს.
10. სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში საფაკულტეტო დროებითი კომისიების თავმჯდომარეებმა მოხსენებითი ბარათები კომისიის სხდომის ოქმთან ერთად (რაც წარმოადგენს დოქტორანტურაში ჩარიცხვის საფუძველს) უნდა წარმოადგინონ 1 ოქტომბერს;
11. სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა 2021-2022 სასწავლო წლისათვის სტუ-ის სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხად მოამზადოს რექტორის ერთიანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება) არაუგვიანეს ამა წლის 4 ოქტომბრისა;
12. დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დოქტორანტმა სტუ-სთან უნდა გააფორმოს სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებები;
13. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს;
14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
15. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  
სამინისტრო  
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები  
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
რექტორატი  
რექტორის მოადგილე  
გასიტაშვილი ზურაბ

